მუშა კაცი და ბედი

იყო ერთი უცხო მუშა კაცი სოფელსა ერთსა და ქონებისა მისისა რიცხვი არ იცოდა.

დღესა ერთსა დილაზე დაიძახა: კაცი ვინც მოვა ჩემთანა, რომ ჩემს ბედთან გავგზავნო და ჩემი ამბავი მიუტანოს, ასს ფლურს მივსცემო.

არავინ გამოჩნდა. შუადღისას დაიძახა კაცი და ოცი ფლური უქადა. არავინ იპოვა. საღამოს ჟამს ერთი ფლური უქადა. ერთი გლახაკი კაცი გამოჩნდა და უთხრა: მე წავალო.

კაცმან მან არა რა იცოდა, არც ვაჭრობა, არც მუშაობა: ორძალი კარგა იცოდა და უკრევდის ხოლმე და იმღერდის.

გაგზავნა მან კაცმან კაცი მეორძლე და ასწავლა: ამა და ამ ალაგს მრავალნი კარავნი დგანან და მუნ კაცნი ურიცხვნი და ერთი დიდი კარავია. მუნ მყოფი კაცი მე მგავს და ესრე მუშაობს, ოფლი ჩარცხის. მას ჩემ მაგიერ უთხარ: ღმერთმან მადლი მოგანიჭოს, ნუღარ იჭირვი, მე სამყოფი მაქვს, აწ შენც მოისვენე, და მეც მომასვენე– თქო. ერთი ფლური მისცა და წავიდა.

მივიდა, ადგილი იგი პოვა. კაცი იგი ნახა და დაბარებული უამბო. იამა კაცსა მას და მადლი უთხრა. მას ღამეს გაასვენა.

მეორეს დღეს მან კაცმან მისი ბედი იკითხა: რომელიაო?

უთხრეს მას: ასკილის ძირს მეორძლე კაცი რომ ზის, იგიაო.

მივიდა, მოემშვიდობა, ჰკითხა: ჩემი ბედი შენ ხარო?

მან უთხრა: მე ვარო.

უთხრა: დილაზე ასი ფლური რომ მიქადეს, რად არ მაცნობეო?

ბედმან უთხრა: მაშინ ორძალი გამიტყდა და ვაწებებდიო.

კაცმან უთხრა: ოცი ფლური რომ მიქადეს, მაშინ რას იქმოდიო!

ბედმან უთხრა: ახალ ალყას ვაბამდიო.

კაცმან უთხრა: საღამოს ერთს ფლურზე რაღას იქმოდიო!

ბედმან უთხრა: მაშინ გავმართე და გაშოვნინეო.

მან კაცმან ორძალი სთხოვა: მომეც, მეც დავუკრაო. გამოუღო, დაჰკრა თავში და დაალეწა.

ბედმან უთხრა: რას მირისხდები, რაც მე ვიცოდი, შენც გასწავლე და მეტი რა მექნაო. შეუძლებელს ღმერთიც არ მოუდებს კაცთაო.

– აწ შენს უამხანაგობას ჩვენ რას გვაბრალებ? ჩვენს ბედს სიმარტოვე სძულს და მოყვასნი უყვარან. და შენი ბედი

შენისთანაა და რაც მას სჭირს, შენც იმას გაძლევს.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი: